

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თბილისი

2019 წლის 10 სექტემბერი

შინაარსი:

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე -----	4
საზოგადოების საქმიანობის შედეგები (მოგება-ზარალის ანგარიშგება) -----	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი) -----	6
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანალიზი -----	7
კაპიტალის ცვლილებების ანალიზი -----	8
განმარტებითი შენიშვნები -----	9

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ინფორმაციის მომზადებასა და დამტკიცებაზე
2018 წლის 31 დეკემბრისთვის

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ინფორმაციის მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და მის მიერ განხორციელებული ქმედებების შედეგებს. ფინანსურ მდგომარეობას (აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის თანაფარდობა), საწარმოს საქმიანობის შედეგებს (სრული შემოსავლებისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება), ფულადი ნაკადების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დაცვით (მსს ფასს-ები).

ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ინფორმაცია წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში;

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა კომპანიაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია მსს ფასს-ების დაცვით;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

შპს-ის „ვაკო მოტორსი“ დირექტორი



შპს „ვაკო მოტორსი“ (საიდენტიფიკაციო N202463823)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები

მიმდინარე აქტივები	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2018
ფულადი სახსრები	5.1.	161774	343420
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5.12.	125506	128414
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	5.5.	1557526	1974753
საგადასახადო აქტივი	5.14.		15702
სხვა მიმდინარე აქტივი	5.12.	47194	73654
სულ მიმდინარე აქტივები		1892000	2535942
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5.8.	379596	345277
არამატერიალური აქტივები	5.10.	7771	12244
სულ გრძელვადიანი აქტივები		387367	357522
სულ აქტივები		2279367	2893463

ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი**მოკლევადიანი ვალდებულებები**

სავაჭრო ვალდებულებები	5.15.	383932	445914
მიღებული ავანსები	5.16.2.		
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	5.16.1.	10368	2500
სულ მიმდინარე ვალდებულება		394299	448414

გრძელვადიანი ვალდებულება

სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	5.11.	454859	629599
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	5.13.	630	630
სულ გრძელვადიანი ვალდებულება		455490	630229
სულ ვალდებულება		849789	1078643

საკუთარი კაპიტალი

გაუნაწილებელი მოგება		1429578	1814820
სულ კაპიტალი		1429578	1814820
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2279367	2893463

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 10 სექტემბერს:

შპს „ვაკო მოტორსი“ (საიდენტიფიკაციო N202463823)

დირექტორი: /ვახტანგ ქათამაძე/

მთავარი ბუღალტერი: /თამარ დოხნაძე/



შპს „ვაკო მოტორსი“ (საიდენტიფიკაციო N202463823)

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დასახელება	შენიშვნა	31.12.2018
ნეტო ამონაგები	6.5.1.	3 936 418
საქონლის გაყიდვიდან		3 832 860
სხვა		103 558
სულ შემოსავალი		3 936 418
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6.5.3.	- 1 952 892
საწყისი მარაგები	-	1 557 526
მარაგების შესყიდვა	-	2 370 117
საბოლოო მარაგები		1 974 753
საერთო მოგება		1 983 528
სხვა შემოსავალი	6.5.2.	1 243
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელო	6.5.4.	- 771 358
ცვეთა და ამორტიზაცია	6.5.5.	- 56 365
საპროცენტო ხარჯი	6.5.8.	- 46 923
იჯარის ხარჯი	6.5.6.	- 129 335
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	6.5.7.	- 210 207
სულ საოპერაციო ხარჯი	-	1 212 945
საოპერაციო მოგება		770 583
გაუფასურების ხარჯი რევერსირება		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	6.5.9.	- 76 812
მოგება/(ზარალი)მოგების გადასახადის ხარჯამდე		693 768
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)		693 768
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		693 768
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი		1 429 578
განაწილება მესაკუთრეებზე (დივიდენდი)	-	308 526
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		693 768
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1 814 820

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 10 სექტემბერს:
შპს „ვაკო მოტორსი“ (საიდენტიფიკაციო N202463823)

დირექტორი: /ვახტანგ ქათამაძე/

მთავარი ბუღალტერი: /თამარ დოხნაძე/



შპს „ვაკო მოტორსი“ (საიდენტიფიკაციო N202463823)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2018 წელი
საოპერაციო საქმიანობა	
საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	4 480 384
გადახდილი თანხების უკან დაბრუნება	21 733
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	4 502 117
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(1 863 458)
შრომის ანაზღაურება	(609 686)
მივლინება	(74 103)
გადახდილი გადასახადები	(864 470)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(606 792)
იმპორტის გადასახადი	(22 211)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	461 397
საინვესტიციო საქმიანობა	
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	
საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	-
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	(76 352)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(76 352)
საფინანსო საქმიანობა	
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	361 317
საფინანსო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	361 317
დივიდენდების გადახდა	(293 100)
სესხის ძირის და პროცენტის გადახდა	(243 701)
საბანკო ხარჯები/საკომისიოები	(10 165)
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(185 649)
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	199 396
სავალუტო კურსის ეფექტი	(17 750)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	161 774
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	343 420

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 10 სექტემბერს:

შპს „ვაკო მოტორსი“ (საიდენტიფიკაციო N202463823)

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



/ვახტანგ ქათამაძე/

/თამარ დოხნაძე/

შპს „ვაკო მოტორსი“ (საიდენტიფიკაციო N202463823)

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

შინაარსი	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისთვის	0	961 988	0	961 988
მოგება / (ზარალი)	0	679 042	0	679 042
დივიდენდის გამოცხადება	0	-211 452	0	-211 452
ნაშთი 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	0	1 429 578	0	1 429 578
მოგება / (ზარალი)	0	693 768	0	693 768
დივიდენდის გამოცხადება	0	-308 526	0	-308 526
ნაშთი 2018 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	0	1 814 820	0	1 814 820

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის
10 სექტემბერს:

შპს „ვაკო მოტორსი“
(საიდენტიფიკაციო N202463823)

დირექტორი

/ვახტანგ ქათამაძე/

მთავარი ბუღალტერი

/თამარ დოხნაძე/



განმარტებითი შენიშვნები

შპს „ვაკო მოტორსი“ 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. შპს „ვაკო მოტორსი“ (შემდგომში „საწარმო“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2009 წლის 20 ნოემბერს. საწარმოს დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია ფიზიკური პირი ვახტანგ ქათამაძე (პნ01025001713)

1.2. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- ავტომობილების ტექნიკური მომსახურება.
- ავტომობილების სათადარიგო ნაწილების იმპორტი და რეალიზაცია.

1.3. საწარმო წარმოადგენს მესამე კატეგორიის (საშუალო) საწარმოს. მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშგაღებულება;

1.4. შვილობილი და მეკავშირე საწარმოები:

- საწარმოს არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები;

1.5. საწარმოს სტრუქტურა:

- ✓ გაყიდვების სამსახურის უფროსი.
- ✓ ბიზნეს განვითარების მენეჯერი.
- ✓ ფილიალის მმართველი.
- ✓ ფინანსური მენეჯერი.
- ✓ HRM და ადმინისტრაცია.

2. საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები:

დაარსების დღიდან დღემდე კომპანია თანამშრომლობს 45-მდე ევროპულ მწარმოებელ ბერენდთან. პროდუქტის ასორტიმენტი ყოველდღიურად იხვეწება და ვითარდება. ორგანიზაციის განვითარებიდან გამომდინარე ევროპული მომწოდებლების სია ყოველწლიურად იზრდება.

კომპანიის სათაო ოფისი (სერვისი, სათ.ნაწილების მაღაზია-საწყობი, სატვირთოების ყიდვა-გაყიდვა) განთავსებულია მცხეთის რეგიონში მთავარ მაგისტრალზე სადაც მომხმარებლებისთვის, როგორც ქართველისთვის ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის მარტივი და მოსახერხებელია სერვისის შემთხვევაში სატვირთოს მიყვანა. ვაკო მოტორსი ემსახურება როგორც ქართულ კომპანიებს ასევე აზერბაიჯანულ და სომხეთში რეგისტრირებულ ორგანიზაციებს.

გამომდინარე მზარდი მოთხოვნიდან 2014 წელს ორგანიზაციამ გადაწყვიტა დაემატებინა სათადარიგო ნაწილების მაღაზია ქალაქში, რათა დროულად დაეკმაყოფილებინა ქალაქში მყოფი მომხმარებლების მომსახურება. იმისათვის რომ კომპანიას ეპასუხა მზარდი მოთხოვნისთვის სერვისის მიმართულებით, 2015 წელს შპს ვაკო მოტორსმა განახორციელა ინვესტირება ინფრასტრუქტურის განვითარებაში. კერძოდ დაიდება 4 ახალი ე.წ. ბოქსი, რამაც საშუალება მისცა ორგანიზაციას მომსახურებოდა უფრო მეტ კლიენტს. 2017 წელს ვაკო მოტორსმა მიიღო გადაწყვეტილება დაემატებინა ქალაქის აღმოსავლეთით ახალი ლოკაცია, რომელიც

სრულყოფილად მოემსახურებოდა კლიენტებს როგორც სათადარიგო ნაწილების რეალიზაციის კუთხით ასევე სერვისის მიმართულებით. კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება ახალი ფილიალი დაემატებინა ორხევში.

სატვირთო ავტომობილების სფეროში მიმდინარე მუდმივი სიახლეების შესაბამისად, კომპანია ვაკო მოტორსი ყოველწლიურად ზრუნავს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. კერძოდ, ყოველწლიურად მექანიკოსები და ადმინისტრაცია გადის საერთაშორისო ტრენინგებს (DAF აკადემია, ISO სტანდარტები) რათა მომხმარებლებს გავუწიოთ მაღალი ხარისხის მომსახურება.

შინაარსი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი
ნაშთი 2015 წლის საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისთვის	401 567
მოგება/(ზარალი)	364 486
დივიდენდის გამოცხადება	-17 894
ნაშთი 2015 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	748 159
მოგება/(ზარალი)	335881
დივიდენდის გამოცხადება	-122052
ნაშთი 2016 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	961 988
მოგება/(ზარალი)	679 042
დივიდენდის გამოცხადება	-211 452
ნაშთი 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	467 590
მოგება/(ზარალი)	693768
დივიდენდის გამოცხადება	-308526
ნაშთი 2018 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	852 832

კომპანია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს, საწარმო ფინანსურად სტაბილურია და მას შეუძლია საკუთარი სახსრებით გააგრძელოს კომპანიის განვითარება და ბაზარზე ლიდერის პოზიციის შენარჩუნება.

3. მნიშვნელოვანი მოვლენები:

3.1. ბაზარზე მოთხოვნის ზრდიდან გამომდინარე, წმინდა მოგების გაზრდის მიზნით, 2017 წლის ოქტომბერში თბილისში განხორციელდა ახალი სერვის ცენტრის გახსნა.

3.2. დაიხვეწა საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა და ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგია.

3.3. საგადასახადო ანგარიშგებისა და ბუღალტრული აღრიცხვის ფინანსური ინფორმაციის ურთიერთშესაბამისობის კონტროლის გაადვილების მიზნით ბუღალტრული აღრიცხვაში საგადასახადო ვალდებულებების სუბანგარიშების სააღრიცხვო ბარათების პარალელურად გაიხსნა ნაერთი საგადასახადო-სააღრიცხვო ბარათი.

3.4. 2018 წლიდან საწარმომ დაწერა საგადასახადო ვალდებულებების ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის სისტემა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მსს-ის ფასს სტანდარტებს, ამასთან შესაძლებლობას იძლევა სისტემატურად განხორციელდეს გადასახადის გადამხდელის პირადი ბარათისა და გადასახადების სახეობების მიხედვით ანალიზური აღრიცხვის ბარათებზე ასახული ინფორმაციის ურთიერთ შესაბამისობას.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

4.1. საწარმოს მიერ 2018 წლების ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად მოხდა პირველად.

4.2. საწარმოს საოპერაციო (მუშა) და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა – ლარი;

4.3. მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის – „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“ - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, რაც გათვალისწინებულია საწარმოს ფინანსურ აღრიცხვა-ანგარიშგებაში.

4.4. საწარმოს წინა საანგარიშგო პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვრიდან.

4.5. მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი შეეხო მხოლოდ საგადასახადო ვალდებულებების კორექტირებას, რაც დაექვემდებარა საკუთარი კაპიტალის კატეგორიაში აღიარებას.

4.6.. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესაძრისობის პრინციპიდან გამომდინარე ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეტანილია წინა საანგარიშგებო პერიოდის – ფინანსური ინფორმაცია.

4.7. საწარმოს მიერ წარმოდგენილი 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და მსს ფასს-ის შესაბამისად;

4.8. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშგებას;
- საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას;
- ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
- კაპიტალის მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
- განმარტებით შენიშვნებს;

5. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება:**5.1. ფულადი სახსრები:**

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებულ ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახა ცალ-ცალკე პირდაპირი მეთოდით;

დასახელება	31,12,2017	31,12,2018
1110 - ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	94107,67	208916,17
1120 - ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	23051,53	43,49
1210 - ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	44564,51	124643,84
1220 - უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	49,82	9817,13
სულ ჯამი	161773,53	343420,63

5.2. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის – 31 დეკემბერს არსებული კურსით;

5.3. შეზღუდული ფული ან ფულის ეკვივალენტები საწარმოს საანგარიშგებო პერიოდში არ გააჩნდა;

5.4. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი: - არ ირიცხება

5.5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები:

შესყიდული მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით.

დასახელება	31,12,2017	31,12,2018
1610 - საქონელი	1526601	1958534
1630 - დაუმთავრებელი წარმოება	2493	407
1680 - საწვავი	630	1009
1698 - სერვისიზე გახარჯული მასალები	2686	393
1699 - სერვისზე აყვანილი ხელსაწყოები	25115	14410
სულ ჯამი	1557526	1974753

5.6. მარაგების თვითღირებულების აღიარება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულით;

5.7. საწარმოს გრძელვადიანი მარაგები არ გააჩნია.

5.8. ძირითადი საშუალებები:

კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ცვეთის გამოკლებით. გაუფასურების ნიშნები საანგარიშგებო პერიოდისათვის დადგენილი არ ყოფილა და ანგარიშგებაში გაუფასურების ზარალი არ დაფიქსირებულა;

დასახელება	31,12,2017	31,12,2018
2150 - მანქანა-დანადგარები	63300	86094
2250 - მანქანა-დანადგარების ცვეთა	-17345	-25924
2151 - ხელსაწყოები	43094	63282
2251 - ხელსაწყოები ცვეთა	-6619	-15557
2155 - 1000 ლარამდე ძირითადი საშუალებები	16017	17230
2255 - 1000 ლარამდე ძირითადი საშუალებები	-4230	-6193
2160 - ოფისის აღჭურვილობა	58915	62697
2260 - ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	-26014	-33579
2170 - ავეჯი და სხვა ინვენტარი	36929	43921
2270 - ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა	-10457	-16357
2180 - სატრანსპორტო საშუალებები	172446	117518
2280 - სატრანსპორტო საშუალების ცვეთა	-20420	-21409
2190 - იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	89799	99536
2290 - იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის ცვეთა	-15821	-25981
სულ ჯამი	379595	345277

5.9. მრავალჯერადი გამოყენების მცირეფასიანი ინსტრუმენტები და ინვენტარი, რომელთა სასარგებლო ეკონომიკური გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, მიკუთვნებულია სხვა მიმდინარე აქტივებზე;

5.10. არამატერიალური აქტივები:

საწარმოს გააჩნია სააგტორო უფლებები ახალ პროდუქციაზე და სამარკო ნიშანი, მაგრამ რადგანაც ისინი შექმნილია საწარმოს შიგნით გაწეული დანახარჯებით, არამატერიალურ აქტივად აღიარებული არ არის და მიკუთვნებულია მიმდინარე პერიოდის ხარჯებზე. თუმცა, საწარმოს გააჩნია პროგრამული უზრუნველყოფა, რაც ასახულია არამატერიალური აქტივის სახით;

დასახელება	31,12,2017	31,12,2018
2590 - სხვა არამატერიალური აქტივები	11036	16894
2690 - სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	-3265	-4650
სულ ჯამი	7771	12244

5.11. საწარმოს გააჩნია გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულება.

დასახელება	31,12,2017	31,12,2018
4140 - გრძელვადიანი სესხები	454859	629599

5.12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

საწარმოს სავაჭრო მოთხოვნების ანგარიშზე ასახული აქვს თანხები, რომლებიც წარმოიქმნა დარიცხული შემოსავლებიდან და რომელთა გადახდაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არ განხორციელებულა. ამასთან, საზოგადოებას საქონლისა და მომსახურების მიწოდება დაკავშირებული მხარეების მიმართ არ განუხორციელებია. ასეთის არსებობის შემთხვევაში მათი ასახვა მოხდებოდა განცალკევებულად.

დასახელება	31,12,2017	31,12,2018
1410 - მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	116264,15	119170,69
1415 - გამოქვითული საექვო მოთხოვნები	9242,23	9242,23
სულ ჯამი	125506,38	128412,92
დასახელება	31,12,2017	31,12,2018
4130 - ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე	47194	73654

5.13. გადავადებული საგადასახადო აქტივი და გადავადებული შემოსავალი:

მსს ფასს-ის 29-ე განყოფილების თანახმად საგადასახადო მოგებასა და ფინანსურ მოგებას შორის დროებითი სხვაობების შედეგად გადასახდელი და გაანგარიშებული გადასახადებს შორის სხვაობა აისახება საგადასახადო აქტივის ან გადავადებული მოგების გადასახადის სახით.

დასახელება	31,12,2017	31,12,2018
4410 - გადავადებული შემოსავალი	630,34	630,34

5.14. მიმდინარე საგადასახადო აქტივი:

საწარმოს მიმდინარე საგადასახადო აქტივები აღრიცხული აქვს განცალკევებულად, საგადასახადო ანგარიშგებებაში დეკლარირებული გადასახადის ოდენობით.

დასახელება	31,12,2017	31,12,2018
3185 - საბაჟო ვალდებულებები	865,80	0,00
3310 - გადასახდელი მოგების გადასახადი	14391,88	0,00
3320 - გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	49,99	0,00
3330 - გადასახდელი დღგ	-169,16	0,00
3340 - გადახდილი დღგ	-7722,00	0,00
3380 - ქონების გადასახადი	2951,12	0,00
სულ ჯამი	10367,63	0,00

5.15. სავაჭრო ვალდებულებები:

საწარმოს საგაჭრო ვალდებულებების ანგარიშზე ასახული აქვს თანხები, რომლებიც წარმოიქმნა დარიცხული ხარჯებიდან და რომელთა გადახდაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არ განხორციელებულა. შესაბამისად, საგაჭრო ვალდებულებები აღიარებულია პირვანდელი ღირებულებით.

დასახელება	31,12,2017	31,12,2018
3110 - მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	119292	85770
3190 - სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	264639	360144
სულ ჯამი	383932	445913

5.16. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები:

5.16.1. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები

საწარმოს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები აღრიცხული აქვს განცალკევებულად, საგადასახადო ანგარიშგებებაში დეკლარირებული გადასახადის ოდენობით.

დასახელება	31,12,2017	31,12,2018
3185 - საბაჟო ვალდებულებები	865,80	0,00
3310 - გადასახდელი მოგების გადასახადი	14391,88	0,00
3320 - გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	49,99	0,00
3321 - ერთიანი საბაზინო ანგარიში	0,00	0,00
3330 - გადასახდელი დღგ	-169,16	0,00
3340 - გადახდილი დღგ	-7722,00	0,00
3380 - ქონების გადასახადი	2951,12	0,00
სულ ჯამი	10367,63	0,00

5.16.2. მიღებული ავანსები.

დასახელება	31,12,2017	31,12,2018
3120 - მიღებული ავანსები		2500,01

6. საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

6.1. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;

6.2. ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები და ხარჯები და მოგება ზარალი ასახულია ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით (მოდელით);

6.3. საანგარიშგებო პერიოდში შემოსავლები გაიზარდა, რაც ასახულია ქვემოთ ცხრილში:

დასახელება	2018 წ	2017 წ	ზრდა %
შემოსავალი რეალიზაციიდან	3 832 860	3 227 529	18,75%

6.4. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს.

მსს ფასს შესაბამისად დასაბეგრი და ფინანსური მოგების სხვაობის შედეგი აისახება საგადასახადო აქტივის ან გადავადებული მოგების გადასახადის სახით. ვინაიდან ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობით მოგების გადასახადის ბაზას არ წარმოადგენს მიღებული მოგება, ხოლო ფინანსურ მოგების გადასახადთან სხვაობის აღრიცხვის წესი განსაზღვრული შემთხვევისათვის რაიმე ინსტრუქციით ან სხვა სარეგომენდაციო ხასიათის მეთოდური

მითითებით რეგლამენტირებული არ არის, საწარმომ მიზანშეწონილად მიიჩნია ფინანსური შედეგები (საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი) შეამციროს მხოლოდ საანგარიშგებო წელს დეკლარირებული და გადახდილი მოგების გადასახადით, ხოლო დარჩენილი თანხა გადაიტანოს გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე.

6.5. დამატებითი განმარტებები საქმიანობის შედეგების შესახებ:

6.5.1. ამონაგები:

მაკორ. ანგარიში	მაკორ. ანგარიშის აღწერა	2018 წელი
6110	შემოსავალი რეალიზაციიდან	3852365,00
6120	გაყიდული საქონელი დაბრუნება და ფასდათმობა	-19505,00
8190	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	103558,00
სულ ჯამი		3 936 418,00

6.5.2. არასაოპერაციო შემოსავალი:

მაკორ. ანგარიში	მაკორ. ანგარიშის აღწერა	2018 წელი
8180	კონვერტაციის შემოსავალი	1243,03
სულ ჯამი		1243,03

6.5.3. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება:

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აღიარებულია შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს. ხოლო, ჩამოწერა ხორციელდება „საშუალო შეწონილი“ ღირებულებით.

მაკორ. ანგარიში	მაკორ. ანგარიშის აღწერა	2018 წელი
7210	გაყიდული შეძენილი საქონელი	1855433,23
7290	სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება	95387,03
7291	სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება	2071,88
სულ ჯამი		1952892,14

6.5.4. თანამშრომელთა ხელფასები

მაკორ. ანგარიში	მაკორ. ანგარიშის აღწერა	2018 წელი
7410	შრომის ანაზღაურება	771358,57
სულ ჯამი		771358,57

6.5.5. ცვეთა და ამორტიზაცია:

მაკორ. ანგარიში	მაკორ. ანგარიშის აღწერა	2018 წელი
7170	ცვეთა და ამორტიზაცია	56365,52
სულ ჯამი		56365,52

6.5.6. საოპერაციო იჯარა:

მაკორ. ანგარიში	მაკორ. ანგარიშის აღწერა	2018 წელი
7420	ორხევის იჯარა	86827,11
7420	იჯარის ქირა თბილისი	12000,00
7420	იჯარის ხარჯი	30508,44
სულ ჯამი		129335,55

6.5.7. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები:

მაკორ. ანგარიში	მაკორ. ანგარიშის აღწერა	2018 წელი
7195	სამივლინებო ხარჯები	17367,12
7310	რეკლამის ხარჯი	16316,66
7340	სატრანსპორტო ხარჯი	19292,75
7425	საოფისე ინვენტარი	121,18
7426	ოფისის ხარჯი	10981,81
7430	კომუნიკაციის ხარჯი	39198,07
7431	კომუნალური ხარჯი	27866,09
7435	დაზღვევა	11674,48
7436	სამივლინებო ხარჯები	3727,27
7440	რემონტი	21609,26
7445	კომპიუტერის ხარჯი	1731,59
7450	საკონსულტაციო ხარჯი	3366,42
7470	საბანკო ხარჯი	10011,85
7471	საბანკო ხარჯი	13,08
7472	ტერმინალის საკომისიო	4990,67
7490	სხვა საერთო ხარჯი	18194,98
8191	ქონების გადასახადი	3744,07
სულ ჯამი		210207,35

6.5.8. საპროცენტო ხარჯი:

მაკორ. ანგარიში	მაკორ. ანგარიშის აღწერა	2018 წელი
8210	ხელშ.# 2633498-9024625	9436,40
8210	ხელშ.# 2633498-9368070	9534,15
8210	გარანტია # 2633498-8016109	10374,31
8210	ხელშ.# გარანტია 2633498-10261551	279,00
8210	ხელშ.# 2633498-10044269	5405,22
8210	ხელშ.# 2633498-8508787	4908,62
8210	ხელშ.# 2633498-8706990	4510,93
8210	ხელშ.# 2633498-8836237	2474,88
სულ ჯამი		46923,51

6.5.9. სხვა წმინდა არასაოპერაციო ხარჯი:

მაკორ. ანგარიში	მაკორ. ანგარიშის აღწერა	2018 წელი
8140	საკურსო სხვაობა (მოგება- ხარჯი)	20181,63
8285	ჯარიმები	1378,24
8280	კონვერტაციის ხარჯი	21102,79
8290	სხვა არასაოპერაციო ხარჯები	23968,20
9211	მივლინება სასტუმრო	10181,79
სულ ჯამი		76812,65

7. ფულადი ნაკადების ანგარიშგება

7.1. ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში გამოიჯნულადაა ასახული ფულადი ნაკადები საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან;

7.2. ფულად ნაკადებში საოპერაციო საქმიანობიდან შეტანილია ამონაგები მარაგების რეალიზაციიდან, მიღებული ავანსები და გადახდილი თანხების უკან დაბრუნება;

7.3. საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებულ დანახარჯებში შეტანილია მომწოდებლებზე გადახდილი თანხები, შრომის ანაზღაურება, იჯარა და საგადასახადო ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებული გადახდები; ამასთან, მოცემულ ჯგუფში შეტანილია იმპორტის გადასახადი, შეცდომით მიღებული თანხების დაბრუნებები და სხვა საოპერაციო ხარჯები;

7.4. ძირითად აქტივების შესყიდვასა და მონტაჟზე საწარმოს საადრიცხო პოლიტიკით მიკუთვნებულია საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე;

7.5. ფულად ნაკადებში ფინანსური საქმიანობიდან შეტანილია მიღებული და გადახდილი პროცენტები, გაცემული დივიდენდები, სესხებთან დაკავშირებული ოპერაციები და სხვა ფინანსური ოპერაციები;

8. ცვლილებები საწარმოს საკუთარ კაპიტალში

8.1. 2018 წლის დასაწყისისათვის საწარმოს კაპიტალი – 1 429 578 ლარს შეადგენდა. 2018 წელს კაპიტალში პარტნიორთა მიერ დამატებითი შენატანი არ განხორციელებულა.

8.1. 2018 წელს გაცემული დივიდენდი – 308 526 ლარით განისაზღვრა.

8.2. საანგარიშგებო პერიოდში ფინანსურმა მოგებამ – 693 768 ლარი შეადგინა. შედეგად, კომპანიის საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდში გაიზარდა მიღებული წმინდა მოგების ხარჯზე და 1 814 820 ლარი შეადგინა.

9. დასკვნითი ნაწილი

9.1. საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება მიღებულია და ნებადართულია გასაცემად 2019 წლის 10 სექტემბერს;

9.2. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

/ვახტანგ ქათამაძე/

/თამარ დოხნაძე/

